

საქართველოს მსხვილი მტაცებლების ისტორიული და დღევანდელი არეალები

ალექსი რეხვიაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსი რეხვიაშვილი, 14 ივნისი, 2015

აბსტრაქტი

დიდი ზომის ხმელეთის ძუძუმწოვრები კონსერვაციისთვის ვარსკვლავურ სახეობებს წარმოადგენენ. 21 საუკუნეში ისინი სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებიან სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების მოპოვებისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია არეალის სწრაფი ცვლილება შემცირების ტენდენციით. დღეისათვის შემორჩენილი ფრაგმენტირებული ჰაბიტატების მიხედვით, რთულია იმსჯელო, თუ რამდენად ვერსატილურია ესა თუ ის სახეობა ანთროპოგენური და ბუნებრივი ფაქტორების მოქმედების მიმართ, შეიქმნა წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა არეალები დროთა განმავლობაში. ამიტომ მსხვილი ძუძუმწოვრების ისტორიული გავრცელების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და თავმოყრა, რომელიც ხშირად გაფანტულია სხვადასხვა წყაროებში და არასრულია, საწყისი ეტაპია ძუძუმწოვრების არეალების ცვლილებაზე მოქმედი როგორც ანთროპოგენური, ისე ბუნებრივი ფაქტორების კვლევისთვის. მის გარეშე რთულია შეიმუშავო ძუძუმწოვრების საკვანძო სახეობების კონსერვაციის გრძელვადიანი გეგმები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საქართველოში გავრცელებული მსხვილი მტაცებლების და მათი კავკასიაში გავრცელებების შესახებ ისტორიული ინფორმაციის შეგროვება, ჩვენება, თუ როგორ იცვლებოდა იგი დროთა განმავლობაში. ნაშრომში მოყვანილია აგრეთვე მსხვილი მტაცებლების ამოსაცნობი ცხოველმყოფელობის ნიშნები, ამიტომ სარკვევის ფუნქციასაც შეითავსებს და გამოდგება როგორც მსხვილი მტაცებლების კონსერვაციის სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის (მეცნიერები, გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე მენეჯერები), ისე სტუდენტებისთვისაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გავრცელება, არეალი, პოპულაცია, ცხოველები, ძუძუმწოვრები, მტაცებლები, მსხვილი მტაცებლები, მგელი, დათვი, ზოლებიანი აფთარი, ფოცხვერი, ვეფხვი, ჯიქი, ლეოპარდი, ტურა, ლელიანის კატა, მსხვერპლი სახეობები, *Canis lupus*, *Hyaena hyaena*, *Lynx lynx*, *Panthera pardus*, *Panthera tigris*, *Ursus arctos*, *Canis aureus*, *Felis chaus*.

მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნათია კოპალიანს და თბილისის ზოოპარკის დირექტორს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ ზურა გურიელიძეს, რომლებმაც თავიანთი რჩევებითა და უშუალო დახმარებით, დიდი წვლილი შეიტანეს წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში.